

საქართველოს მთავრობის მიერ მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით დამუშავებული ლოკუმენტის – საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის (სადისკუსიო მასალა – თბილისი; ნოემბერი, 2001) საფუძველზე

ნიკო მელიქაძე, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი

მოხსენების სინაქსის მოკლე შეჯამება

1. შესავალი

საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამა (შემდგომში “სიღარიბის პროგრამა”) პოტენციურად უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგების მქონე დოკუმენტია. პროგრამის განცხადებული მიზანი – *“ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირება სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის გზით”* (პარაგრაფი 1), უკვე თავისთავად საზოგადოების დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამავე დროს, ის გარემოება, რომ *“პროგრამა გახლავთ მთავრობის სტრატეგიული განაცხადი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა და სამომავლო მოქმედებაზე”* (პარაგრაფი 5) ამ დოკუმენტს კიდევ უფრო დიდ პოლიტიკურ აქტუალობას ანიჭებს. ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწიფო პროგრამასთან, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ განვითარებას პირდაპირ უკავშირებს ქვეყნის მიმდინარე უმწვავესი სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

ამგვარი პროგრამის საზოგადოებრივი განხილვით საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი პრაქტიკის დამკვიდრების საშუალება იქმნება. ჩვენში ხშირია სახელმწიფო პოლიტიკაში საზოგადოების, როგორც ხელისუფლების მეოთხე შტოს, აქტიური მონაწილეობის შესახებ ზოგადი საუბარი. მაგრამ, გაცილებით ცოტა (უფრო ზუსტად კი, საერთოდ არაფერი) ითქმის იმ ფორმებზე, პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე და მექანიზმებზე, რომლითაც ამგვარი შესაძლებლობა აუცილებლობად უნდა გადაიქცეს.

სწორედ, ერთ-ერთი ამგვარი მექანიზმის შექმნის შესაძლებლობაზეა აქ საუბარი, რომელიც საზოგადოებამ ამჯერად არ უნდა დაკარგოს. ამ მექანიზმმა, პირველ ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო პროგრამების მიმართ თავად ხელისუფლების არა ფორმალური, არამედ უკვე რეალურად პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება. მეტიც, სახელმწიფო პროგრამების საჯარო განხილვით, მათი სტრატეგიული და მეთოდოლოგიური გამართულობის შესახებ პროფესიონალური განსჯით, ამ პროგრამის შინაარსის განსაზღვრაში საკუთარი აქტიური თანამონაწილეობით, პროგრამის რეალურობისა და ეფექტურობის შეფასებითა და, რაც მთავარია, ამ პროგრამაში, პროფესიონალურად არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოთხოვნათა აუცილებელი გათვალისწინების უზრუნველყოფით, საზოგადოება თავისთავად

ხდება ამ პროგრამის მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილი. ამგვარი მექანიზმის ამოქმედებით უნდა მოხდეს საქართველოსათვის უაღრესად აქტუალური პრობლემის – *პოლიტიკური ძალისა და პოლიტიკის კეთების კომპეტენციის ინტეგრაციის* – გადაწყვეტა. ამ პირობის შესრულება უნდა გახდეს პოლიტიკოსთა არა კეთილი ნების, არამედ გარდაუვალი აუცილებლობის საკითხი.

გარდა ამისა, ამგვარი მექანიზმის ამოქმედებით საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა:

- სახელმწიფო პროგრამის შინაარსის შესახებ გადაწყვეტილების მიღების გადატანა პოლიტიკური სიბრტყიდან (სადაც საზოგადოება ხელისუფლებასთან არათანაბარ მდგომარეობაშია) ლოგიკურ სიბრტყეში, სადაც მათ როლებს თანაბარი სტატუსი ეძლევა; ე.ი. მნიშვნელოვნად მცირდება საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად ხელისუფლების მხრიდან საბოლოო სიტყვის თქმის შესაძლებლობა;
- საზოგადოებაში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური და რეალური ჩართვა სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების განახილვაში; ამით სახელმწიფო პოლიტიკაზე ბიუროკრატის მონოპოლია უნდა შეირყეს;
- ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების არენაზე სოციალური პრობლემატიკის გამოტანა, რომელიც საზოგადოებრივი ყოფის არსებულ პრობლემათა კონკრეტული და კონსტრუქციული მიდგომების განხილვასთან არის დაკავშირებული; ამით ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლებისათვის კონკურენციაში გამარჯვება გახდება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტური და დამაჯერებელია მოსახლეობის სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის ის პროგრამები, რომლებიც ცალკეულ პოლიტიკურ ძალთა მიერ არის შემოთავაზებული.

ძნელია იმ შედეგების გადაფასება, რომელიც საქართველოს მთავრობის სიღარიბის პროგრამის განხილვის ინიციატივამ შეუძლია მოუტანოს ქვეყანას. რასაკვირველია ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი განხილვა თანმიმდევრულად წარიმართება და გაწეული იქნება ის ძალისხმევა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებამ სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში შეიძინოს უკვე არა მხოლოდ თეორიული, არამედ რეალური პოლიტიკური მექანიზმებით გამაგრებული ხმა. ამჟამად, მხოლოდ საზოგადოებრივ აქტიობას შეუძლია უზრუნველყოს, რომ აღნიშნულ პროგრამას არ ეწიოს საქართველოს პრეზიდენტის საარჩევნო პროგრამის (2000 წლის) ბედი, როდესაც ამ პროგრამამ რეალური არსებობა მხოლოდ საჯარო დეკლარაციის ფორმით შეძლო.

ჯერჯერობით, მთავრობის სიღარიბის პროგრამის მიმართ თავად ხელისუფლების მხრიდან უაღრესად ფორმალური დამოკიდებულების ნათელილუსტრაციას საქართველოს ხელისუფლების სისტემაში სადღეისოდ მიმდინარე კრიზისული პროცესები წარმოადგენენ. ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, რომელიც ამ კრიზისიდან გამოსავალს ეძებს, მთლიანად ძალაუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებით არის დაკავებული. ქვეყნის არც ერთ პოლიტიკოსს, არც ერთ დონეზე, სიტყვაც კი არ წარმოუთქვამს იმ სოციალური და ეკონომიკური სირთულეების დაძლევის კონსტრუქციულ მიდგომებზე, რომლებიც არსებული პოლიტიკური კრიზისის რეალური განმაპირობებელია.

მათ შორის, სრულიად შეუმჩნეველი დარჩა სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაც. არავის უცდია, ფორმალურად მაინც, მოსახლეობაში იმ ილუზიის შექმნა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ახალ ფორმაზე ფიქრი ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ პროგრამის მოთხოვნილებათა შესაბამისად ხდება. ნათელი გახდა, რომ სიღარიბის პროგრამას არ აქვს მინიჭებული ის პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მას ლოგიკურად უნდა ჰქონდეს. ქვეყნის განვითარების ლოგიკის შესაბამისად კი, რა უნდა იყოს ქვეყნაში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლისა და მისი შემდგომი განვითარების სამოქმედო პროგრამაზე უფრო მნიშვნელოვანი? სწორედ ამ ლოგიკური მნიშვნელობის პოლიტიკური ძალად გადაქცევა არის ის ზოგადი მიზანი, რასაც დღეს ჩვენ შეგვიძლია ჩაუყაროთ საფუძველი.

2. მოსაზრებები სიღარიბის დაძლევის სამთავრობო პროგრამის შესახებ

სიღარიბის პროგრამის ის ანალიზი, რომელსაც მე წარმოგიდგენთ, უაღრესად სპეციფიური კუთხით და საკმაოდ ტენდენციურად არის ჩატარებული. ჩემი ანალიზის ობიექტია არა იმდენად ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ერთობრიობაში ამ პროგრამის შინაარსს ქმნიან, არამედ სწორედ ამ შინაარსის განმსაზღვრელი და მის მიღმა მდგარი კონცეფტუალური სტრუქტურები და შესაბამისი მიდგომები; ანუ, უფრო ზოგადად, სახელმწიფო პოლიტიკის კეთების ის მეთოდოლოგია და შესაბამის პროგრამათა დამუშავების ჩვენში დამკვიდრებული სქემები, რომელთა შესაბამისადაც საბოლოო ჯამში განისაზღვრა ამ პროგრამაში შემავალი ღონისძიებები, როგორც კონკრეტულად საკეთებელი საქმე, და რომლებიც (ე.ი. ეს კონცეფტუალური სტრუქტურები და შესაბამისი მიდგომები) ამ პროგრამიდან იკვეთება.

სწორედ ამგვარი პოზიციიდან შეხედული, სიღარიბის პროგრამის განხილვისას ჩამოყალიბდა ის შენიშვნები, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული.

1. სიღარიბის პროგრამაში ასახული მისი შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა მკაფიოდ გამოკვეთილი ფორმით განცხადებული და წარმოდგენილი არ არის

სახელმწიფო პროგრამა – პირველ რიგში პოლიტიკური დოკუმენტია. პროგრამა – მოქმედებათა ერთიანი სისტემაა, რომელიც შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკას ასახავს, წარმოადგენს ამ პოლიტიკის გატარების საფუძველს და პირობას – პროგრამაში ხდება პოლიტიკის სამოქმედო ფორმაში თარგმნა და კონსტრუქციულ კომპონენტებად დამარცვლა.

ამავე დროს, ამ პროგრამის უკან მდგარი და მასში ასახული სახელმწიფო პოლიტიკა წინასწარ და მკაფიოდ არც ამ დოკუმენტში, არც სადმე სხვაგან, წინასწარ განცხადებული არ არის. ასეთ პირობებში, პროგრამით გა-

ნსაზღვრულ მოქმედებათა კონკრეტული რეალიზაციის პროცესში იქმნება მათი თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა; ანუ, საზოგადოებას ემცნო ამ პოლიტიკის მხოლოდ ანარეკლი სიტყვა და არა მისი სული. პოლიტიკური კონტექსტის გარეშე მოცემულ წარმოდგენაში ირღვევა პროგრამის სისტემურობა, მისი შემდგომი, ლოგიკური გაფართოების და მართვის ეფექტურობის პირობა. შესაბამისად, პროგრამა, რომელიც უნდა გახდეს სახელმწიფოში მრავალი, სრულიად სხვადასხვა ტიპის სუბიექტთა ერთობრივი შემოქმედებითი შრომის მაორგანიზებელი საფუძველი, კარგავს თავის ამ უმნიშვნელოვანეს მაკოორდინირებელ პოტენციალს.

2. სიღარიბის პროგრამის საფუძველში დევს რწმენა, რომ ეკონომიკური ზრდა არის ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ძირითადი საშუალება

აღნიშნული მსოფლმხედველობითი ორიენტაცია პროგრამაში მკაფიოდ არის გამოხატული და ასევე თანამიმდევრულად რეალიზებულია – *“ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ანუ სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა გახლავთ მოცემული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა”* (პარაგრაფი 263). ეს ზოგადი სტრატეგიული ორიენტაციის რეალიზაცია პროგრამაში ფაქტიურად შემდეგი სქემით არის გააზრებული: “ეკონომიკური ზრდა” გამოიწვევს “ახალი სამუშაო ადგილების შექმნას”, რაც, თავის მხრივ, “სიღარიბის დაძლევას” გამოიწვევს.

უკანასკნელი 50 წლის მსოფლიოს გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ რეალური მიზეზობრივი კავშირი ქვეყანაში ეკონომიკის ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის, უადრესად რთული და კომპლექსური ხასიათისაა; ეს კავშირი საზოგადოებრივი ყოფის პრაქტიკულად ყველა ასპექტზე და სოციალური რეალობის მრავალ სიღრმისეულ გარემოებაზე დამოკიდებული. სწორედ ამგვარი კავშირის ჭეშმარიტი ბუნების გარკვევაში და მისი სტიმულირების პირობათა ძიებაში მსოფლიოში ჩამოყალიბდა ცნება “განვითარების პოლიტიკის” შესახებ.

განვითარებლობა – საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობაა და განვითარებისაკენ სწრაფვა არაგანვითარებული ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურის ცვლას მოითხოვს. შესაბამისად, განვითარების პოლიტიკა და სათანადო სტრატეგია ვერ იქნება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის თანხვედრი, თუმცა განვითარება, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის აუცილებლობით უზრუნველყოფას გულისხმობს.

სწორედ სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის საშუალებით მოიძებნა ის ფორმა, რომლითაც სადღეისოდ მსოფლიოში ხდება ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის საერთო განვითარების პირობათა ინტეგრაცია. მიმაჩნია, რომ საქართველოში სიღარიბის დაძლევის სამთავრობო პოლიტიკისა და შესაბამისი პროგრამის დამუშავებისას ამგვარი ინტეგრაციის კონცეფტუალური და ორგანიზაციულ-პოლიტიკური პირობები უფრო ღრმად უნდა იქნას შესწავლილი. მხოლოდ შესაბამის პროგრამაში მათი ადეკვატურად ასახვით გახდება შესაძლებელი ამ პროგრამით დასახული ძირითადი მიზნის ეფექტური მიღწევა.

3. სიღარიბის პროგრამაში ცხადი სახით არ არის ჩამოყალიბებული ის რეალური რესურსული ბაზა, რომელზედაც დაყრდნობით მთავრობა ამ პროგრამის რეალიზაციის უზრუნველყოფას იმედოვნებს

საქართველოს სახელმწიფო სადღეისოდ უაღრესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება; ქვეყანა ფაქტიურად გადატაკებულია, მისი ეკონომიკური რესურსები უაღრესად შეზღუდულია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას არ გააჩნია სიღარიბესთან ბრძოლის (გაჭირვებულთა შემწეობის) ტრადიციული პოლიტიკის გატარების საშუალება.

სადღეისოდ, საქართველოს ხელისუფლების ძირითადი რესურსია – პოლიტიკური მონოპოლია და ორგანიზაციული რესურსი. ამიტომ, სიღარიბის დაძლევის პროგრამა სწორედ ამ რესურსის გამოყენების შესაძლებლობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. შესაბამისად, პროგრამა უნდა იყოს ფოკუსირებული ისეთ ღონისძიებათა გატარებაზე, რომელიც სიღარიბის დაძლევაში, პირველ რიგში, ხელისუფლების ორგანიზაციულ-პოლიტიკური პოტენციალის გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.

წარმოდგენილ პროგრამაში აღნიშნულ შეზღუდვათა რეალური გათვალისწინების მკაფიო ნიშნები არ ვლინდება. მათი ცხადად გაცნობიერება და ერთმნიშვნელოვანი ფორმულირება აუცილებელია. მხოლოდ ამგვარად წარმოდგენილი ფორმით, აღნიშნული შეზღუდვები, სამოქმედო პროგრამის დამუშავების პროცესში შეიძლება გახდეს მის ეფექტური რეალიზაციის უზრუნველსაყოფი რაციონალური პირობა. მაგალითად, სახელმწიფოს აღნიშნული რესურსების ეფექტური გამოყენება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შემდგომ განვითარებასა და სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის რადიკალურ გაძლიერებასთან არის უშუალოდ დაკავშირებული. სამწუხაროდ, წარმოდგენილ საპროგრამო მასალაში, ეს საკითხები მხოლოდ ზედაპირულად არის განხილული.

4. საქართველოში საზოგადოებრივ რესურსთა სამართლიანი გადანაწილება მოითხოვს ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის ახალი შინაარსის განსაზღვრას

საზოგადოებრივ რესურსთა სამართლიანი გადანაწილება ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის ძირითად შინაარსს შეადგენს. თანამედროვე საზოგადოებებში ამგვარი პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რათა დაიცვას საბაზრო ეკონომიკის რაციონალური ლოგიკით დარღვეული სოციალური სამართლიანობის საზოგადოებაში არსებული გაგება. სწორედ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების შეუსაბამობა სოციალური სამართლიანობის შესახებ არსებულ წარმოდგენებთან ხდება ქვეყანაში უმწვავესი პოლიტიკური სირთულეების წარმოქმნის საფუძველი. ამის გამო, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლებას არ გააჩნია მოსახლეობის მზარდი სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსები, აუცილებელი ხდება უკვე თავად სოციალური სამართლიანობის ისეთი ახალი შინაარსის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებები რეალისტურ შინაარსს შეიძენენ. ცხადია, ეს ახალი შინაარსი ხელისუფლების

პოლიტიკური დეკლარაციით ვერ დამკვიდრდება და მას საზოგადოებასთან შეთანხმების რთული პროცესი უძღვის წინ.

ამგვარი პოლიტიკის გატარება ხელისუფლებისაგან ახალი სოციალური ფილოსოფიის ჩამოყალიბებას მოითხოვს. ეს არ არის მარტივი ამოცანა, მაგრამ თანამედროვე სამყაროში ამგვარ მიდგომას ალტერნატივა ჯერ არ გააჩნია. სწორედ ეს არის ის გზა, რომელზედაც დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოები ცდილობენ თავისი მოსახლეობის არაადეკვატურად გაზრდილ სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფორმათა მოძიებას. სადღეისოდ, საქართველოც დგას სოციალური პოლიტიკის ამ ფუნდამენტალური პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე.

ახალმა სოციალურმა ფილოსოფიამ უნდა შექმნას კონცეფტუალური საფუძველი, ერთის მხრივ, საზოგადოების (შესაბამისად, ხელისუფლებისაც) სოციალურ ვალდებულებათა, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყნის ყოველი მოქალაქის სოციალურ უფლებათა ახალი შინაარსის განსაზღვრისათვის. თანამედროვე წარმოდგენებით ამ შინაარსის ცვლა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რათა, პირველ რიგში, გაიზარდოს პიროვნების პირადი პასუხისმგებლობა საკუთარი სოციალური მდგომარეობისა და საკუთარი მომავლის უზრუნველყოფის მიმართ. რაც შეეხება საზოგადოებას (ხელისუფლებას), მას ეკისრება გაჭირვებაში მყოფი პიროვნების სოციალურ მოთხოვნილებათა არა მუდმივი დაკმაყოფილება, არამედ ამ პიროვნების სოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, საზოგადოებაში მისი სრულფასოვანი ინტეგრაციის პირობების შექმნა; ანუ, გაჭირვებაში მყოფი პიროვნების გაძლიერება (პირველ რიგში პროფესიონალური) ახალ გარემოში ეფექტური კონკურენტუნარიანი მდგომარეობის მისაღწევად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ კონცეფციის ფარგლებში, საზოგადოება იღებს ვალდებულებას მშვიერი ადამიანი უზრუნველყოს არა პურით, არამედ გუთნით!

ქვეყნის საზოგადოებრივი სისტემის ორგანიზაციის ფუძემდებლური სოციალური ფილოსოფიის ცვლა მოსახლეობის სოციალური მომსახურეობის ტრადიციული სისტემების პრიორიტეტების ცვლასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, იცვლება ამ სისტემათა მიმართ მოთხოვნილების შინაარსი, მის მიმართ წაყენებული ამოცანები, იცვლება მათი ორგანიზაციისა და მართვის პირობები.

საქართველოში სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პოლიტიკაც ამგვარ კონცეფტუალურ გააზრებას უნდა დაეფუძნოს. ასეთი სამუშაო საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ ჩასატარებელი აქვს.

5. სახელმწიფოს სიღარიბის პროგრამა არ არის ფოკუსირებული მოსახლეობის ღარიბი ფენების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ანუ საზოგადოებრივი განვითარების პროცესში მათი აქტიური თანამონაწილეობის უზრუნველყოფაზე

სიღარიბესთან ბრძოლის ტერმინებში ქვეყნის განვითარების პოლიტიკის გააზრება ასახავს იმ წარმოდგენას, რომლის შესაბამისად თანამედროვე სამყაროში ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიაღწევს განვითარებულ სტატუსს, თუკი მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს. ამდენად,

სიღარიბის დონე ღებულობს იმ ინდიკატორის მნიშვნელობასაც, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება ქვეყნის განვითარებულობის მდგომარეობის არა მარტო შეფასება, არამედ მის შესაბამისად თავად განვითარების პროცესის მართვაც კი.

მეტიც, ამგვარი პოლიტიკის ფარგლებში სწორედ მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი ხდება სახელმწიფო ზრუნვის ძირითადი ადრესატი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებრივ განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის ყოველი კონკრეტული მიმართულება, პირველ რიგში, სწორედ ამ მიმართულებით ღარიბთა გაძლიერებისა და ხელშეწყობის სპეციალურ ღონისძიებებს უნდა ისახავდეს. ამ დროს ძირითადი სტრატეგიული ორიენტაცია არის – ღარიბები უნდა გახდენ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ნაყოფთა არა უბრალო მომხმარებლები, არამედ ამ ზრდის პროცესის აქტიური თანაშემოქმედნი, რომლებმაც საკუთარი შრომითა და ძალისხმევით, მთელ დანარჩენ საზოგადოებასთან ერთად, უნდა უზრუნველყონ ეს ზრდა; სწორედ ამ პროცესში უნდა მოხდეს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა. (აღსანიშნავია, რომ სწორედ ამგვარი სტრატეგიული ორიენტაციის პირობებში შესაძლებელი ხდება სოციალური სამართლიანობის ახალი შინაარსის შესაბამისი სრულფასოვანი განვითარების პოლიტიკის რეალიზაცია). ამავე სტრატეგიული მიზანმიმართულებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ქვეყნის განვითარების (მათ შორის, სიღარიბის დაძლევის) კონკრეტულ ამოცანათა გააზრება.

საქართველოს სიღარიბის პროგრამაში ამგვარი სტრატეგიული ორიენტაცია ასახული არ არის.

6. სიღარიბის პროგრამა არ ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის უკვე განვლილი ათი წლის პერიოდში ჩამოყალიბებულ იმ კონკრეტულ ვითარებას, რომელიც ქვეყნის შემდგომი განვითარების მუხრუჭს წარმოადგენს

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოში ახალი სახელმწიფოს მშენებლობისათვის შექმნილი სპეციფიური პირობები ამ პროცესის ჯანსაღ განვითარებას არ უწყობდა ხელს. აღნიშნულ პირობებში ჩამოყალიბდა ის სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური მექანიზმები, რომლებიც სახელმწიფოს შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. კერძოდ, მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- ხელისუფლების პოლიტიკური სისუსტე, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარ გადაწყვეტილებათა სრულად აღსრულების უნარი;
- ქვეყანაში ახლადწარმოქმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების, ასევე, სახელმწიფოს საკანონმდებლო და სარეგულაციო გარემოს ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოყალიბების პირობებში შეიქმნა კერძო ინტერესთა პრაქტიკულად შეუზრუდავი რეალიზაციის შესაძლებლობა; ეს ინტერესები საერთო-სახელმწიფო ინტერესებთან ყოველთვის თანხვედრაში არ იყო და ხშირად ენერგიულად მოქმედებდნენ ამ უკანასკნელი ინტერესების საზიანოდ;
- სოციალური გარემოს კულტურული მოუმზადებლობა საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პირობებში ადეკვატური ქცევისა და მოქმედებისათვის;

- დასავლეთის დახმარების სისტემის (შესაბამისი რეკომენდაციებისა და მითითებების) კონცეფტუალური და ინსტიტუციონალური დეფექტები.

სადღეისოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სისტემური რეფორმა რეალურად უკვე შემდგარია. სხვა საკითხია, თუ რაოდენ არის უკვე შექმნილი სახელმწიფო სისტემა დეკლარირებული ფუნდამენტალური მიზნებისაკენ ორიენტირებული. სამწუხაროდ, სპონტანურ ძალთა თვითორგანიზაციის პროცესში, რომელიც სუსტად, ან ხშირად სრულიად ვერ იყო (ზემოთ აღნიშნულ ძირითად გარემოებათა გამო) სათანადოდ წარმართული და შინაგანად დისციპლინირებული, შეიქმნა მძლავრი ანტირეფორმისტული ინტერესების მატარებელი სტრუქტურები. მათ უკვე მოახერხეს საკუთარი ინტერესების ორგანიზაციული გაფორმება და ამ ინტერესთა დაცვის პოლიტიკური გარანტიების შექმნაც. შედეგად, სადღეისოდ, რეფორმის პროცესების შემდგომი გაგრძელებისათვის ქვეყანას გაცილებით უფრო დიდი პოლიტიკური წინააღმდეგობათა დაძლევა დასჭირდება, ვიდრე ათი წლის წინათ იყო საჭირო. ეს გარემოება მთავრობის სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის შემზღუდავ ძლიერ პირობას შექმნის, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გააზრებული და შემდეგ, შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებული.

7. სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პოლიტიკა (ასევე, შესაბამისი პროგრამა) არ ითვალისწინებს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ადრე მიღებული სტრატეგიული ტიპის პოლიტიკური გადაწყვეტილებებით იქმნება

ამგვარი ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომელთა გათვალისწინება დღეს უკვე გარდაუვალად აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ სფეროთა ორგანიზაციაში, მაგალითად, შემდეგია:

- საქართველოს ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში (შესაბამისად, განვითარებულ სამყაროსთან შრომითი დანაწილებაში ჩართვა იწვევს ისეთი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობას, რომელზედაც მაღალი დამატებითი ღირებულება უნდა წარმოქმნას; ეს მოთხოვნა, თავისი მხრივ, კომპლექსური ხასიათის ახალ კონცეფტუალურ და ორგანიზაციულ პრობლემებს ბადებს);
- საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გამაგრება – საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარისა და რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა (რუსეთის ბაზების გაყვანასთან ერთდროულად ქვეყანას გაუჩნდება, მაგალითად, ახალქალაქის მოსახლეობის შრომითი დასაქმების მძიმე პრობლემა);
- საქართველოში, როგორც პოლიეთნიკურ ქვეყანაში, ეროვნული თანხმობის მიღწევა (ეს მოთხოვნა სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს);
- ევრაზიის სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბება (ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების მნიშვნელოვან ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა მთელი სისტემის გატარებას მოითხოვს).

აქ ჩამოთვლილი თითქმის ყოველი საკითხი ქვეყნის ხელისუფლების უკვე მიღებულ შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან არის დაკავშირებული. თვითოეული მათგანის ეფექტური გადაწყვეტა ქვეყანაში სიღარიბის დათრგუნვის უაღრესად კეთილმყოფელ პირობას შექმნის. მაგრამ ერთდროულად, ყოველი მათგანის რეალიზაცია ქვეყნისაგან სპეციალური პირობების დაცვას და შესაბამის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოითხოვს.

8. სიღარიბის პროგრამის ეფექტური რეალიზაცია არ არის შესაბამისი ინსტიტუციონალურად გამაგრებული მექანიზმებით უზრუნველყოფილი

უკვე რამოდენიმე ათწლეულია, რაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა საკუთარი მოსახლეობის სიღარიბესთან ბრძოლას ახორციელებს. შესაბამისი ეფექტური პოლიტიკის ძიებაში ამ მიმართულებით უკვე მოხდა რამოდენიმე კონცეფციის შეცვლა, მოისინჯა სხვადასხვა მიდგომა, დამუშავებული და რეალიზებულია მრავალი პროგრამა. სამწუხაროდ, გაწეულ ყველა ძალისხმევათა შედეგად რამდენადმე საყურადღებო შედეგი ჯერ კიდევ არსად მიღწეული არ არის. ამიტომ, ბუნებრივად იბადება შეკითხვა: რას ეფუძნება რწმენა, რომ საქართველოში დამუშავებული პროგრამა ეფექტურობის რაიმე ნიშანს გამოავლენს? საქართველოს მთავრობის სიღარიბის პროგრამა ამ შეკითხვაზე პასუხს არ იძლევა.

9. სიღარიბის პროგრამის შინაგანი სტრუქტურა ლოგიკურ დახვეწას, ასევე, დოკუმენტის ენა სრულყოფას მოითხოვს

ყოველი სამოქმედო პროგრამა, როგორც კონკრეტული პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, შესაბამის პროფესიონალურ სფეროში სადღეისოდ უკვე კარგად დამუშავებული ზოგადი შინაგანი ლოგიკის შესაბამისად უნდა აიგოს. იგი, საპროგრამო დოკუმენტის სტრუქტურას, მის სტრუქტურული კომპონენტთა ურთიერთშეხების ხასიათსა და მათ შინაარსს განსაზღვრავს. წარმოდგენილ პროგრამაში აღნიშნული ლოგიკა დაცული არ არის. ასევე, დოკუმენტის ენა საფუძვლიან სტილისტურ რედაქციას მოითხოვს.